დღეს ნომერში:

- მინისტრი — ბრუმელის კონკურენტი
- სპორტი თუ... სიკვდილთან თამაში?
- დეგიუტანტის 30 ქუდა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის მე-20 წელი

№ 129 (2492) ◉ ხუთშაბათი, 2 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

სპორტულ ჟურნალისტთა სემინარზე

სპორტული პრესისა და რადიოს საკავშირო ფედერაციის პლენუმის დამთავრების შემდეგ მოსკოვში გაიმართა სპორტულ ჟურნალისტთა შემოქმედებითი სემინარი. იგი დაიწყო პრესის მუშაკთა შენგედრით სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. ი. მაშინთან. ი. მაშინმა ილაპარაკა ჟურნალისტთა ამოცანებზე ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში, პასუხი გასცა სემინარის მონაწილეთა შეკითხვებს.

შემდეგ ფიზიკური კულტურისა და სპორტის აქტუალურ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების სპორტული გაზეთების რედაქტორები, „სოვეტსკი სპორტისა“ და საკავშირო რადიოს წარმომადგენლები.

სპორტულ ჟურნალისტთა სემინარმა გუშინ დაამთავრა თავისი მუშაობა.

სანგრძლივი ფესვენების შემდეგ

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 1 ივლისი.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 1:1 (1:1).

„ტორპედო“ — კავაზაშვილი, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, სარაევი, ვორონინი, მეშჩერიაკოვი, სოლოვიოვი, ივანოვი, შჩერბაკოვი, ბატანოვი (მარუშკო), სერგეევი.

„დინამო“ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ბურკილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იასანიძე, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი.

მსაჯი — მ. რუბენისი (რიგა).

თამაშის წინ წამოვიდა წვიმა საკმაოდ ძლიერი ჭექა-ქუსილით „შუზაკუბული“. წვიმდა მატჩის თითქმის პირველი ნახევარი. მინდორი საკმაოდ სველი იყო. მიუხედავად ამისა, ძველი მეტოქეების შეხვედრამ საინტერესო სპორტულ ბრძოლაში ჩაიარა.

მატჩი დაიწყო იმით, რომ ტორპედოელთა კაპიტანი ივანოვი ელვის სიჩქარით შეეჭრა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ უკანასკნელ მომენტში სასიფათო მდგომარეობა განმუტა ხურცილავამ. ორი წუთის შემდეგ ივანოვ განმეორდა, ახლა ავტოკარნელთა კართან — მეტრეველმა ოტატარად აუარა გვერდი მეტოქის მცველებს და ამ უკანასკნელებმა ის ღა მოაბრძოლეს, რომ ბურთი კუთხურზე გაგზავნეს. თბილისელთა მარჯვენა გარემარბის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო დათუნაშვილმა, მაგრამ შეკარე კავაზაშვილი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

კვლავ ორსხრივ იერიშებში მიმდინარეობდა მატჩი, მაგრამ მე-7 წუთზე მოსკოველთა ერთ-ერთი იერიში ჩვენი კარის აღებით დაამთავრა ბატანოვმა. ამაში თავდამსხმელს იმდენად არ მიუძღვის დამსახურება, რამდენადაც „დინამოს“ მცველებს, რომლებმაც ერთმანეთში ვერ გამონახეს საერთო ენა და საშუალებას აძლევდნენ ტორპედოელებს — ივანოვსა და შჩერბაკოვს თავისუფლად ემოქმედათ. განსაკუთრებით ცოდავდა ბ. სიჭინავა, რომელმაც ვერაფერი გააწყო სერგეევის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა მე-16 წუთზე ახლო მანძილიდან ძლიერად დაარტყა დინამოელთა კარში, მაგრამ კოტრიკაძემ აკრობატული ნახტომით იხსნა კარი აშკარა გოლისაგან. ძალზე აქტიურობდა ჩვენი გუნდის ნახევარდაცვა (იასანიძე, გ. სიჭინავა), რომელსაც გარღვევაზე გაჰყავდა თავიანთი თავდამსხმელები, მაგრამ ჩვენი ფორვარდები ვერ იყენებდნენ ამ შესაძლებლობებს.

წონასწორობა აღსდგა 26-ე წუთზე. დინამოელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს. მეტრეველმა გარღვევაზე გაიყვანა ხუციშვილი, რომელსაც უკანასკნელ მომენტში „ტორპედოს“ მცველები უხვეშად მოეკვნენ. საჯარიმო დარტყმიდან ბურთი მიიღო დათუნაშვილმა, კარში დაარტყა. მოსკოველები ძალმა იხსნა, მაგრამ არა საბოლოოდ. ბურთს მიუსწრო ბარქაიამ და ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

ამის შემდეგ ინიციატივა 15 წუთის განმავლობაში თბილისელთა მხარეზე იყო, მაგრამ დინამოელებმა ვერ გამოიყენეს ანგარიშის გაზრდის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ კვლავ თბილისელები უტევდნენ, ტორპედოელთა კართან ხშირად იქმნებოდა ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ჩვენი თავდამსხმელები ცოდავდნენ, არაზუსტად ურტყამდნენ კარში. რამდენიმე ძალი ბურთი აიღო მოსკოველთა მეკარემ კავაზაშვილმა.

(დასასრული მე-4 გვ.)

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ტელეფონით გვატყობინებს

▲ **ბელგრადი.** იუგოსლავიისა და სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდების მეორე მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

▲ **ჯაკარტა.** ინდონეზია გამოვა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში, ამ ქვეყნის სპორტის მინისტრმა რ. მალადიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ინდონეზიელი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიური პროგრამის ბევრ სახეობაში.

▲ **ოსლო.** მძღოლთა შეჯიბრებაზე ნორვეგიელ ტ. პედერსენის (იგი მხოლოდ 21 წლისაა) მიერ ნატყორცნი შუბი დაეცა 85 მეტრზე. ეს შედეგი მსოფლიოში საუკეთესოა მიმდინარე სეზონში.

▲ **მონაკო.** „ტურ დე ფრანსის“ IX ეტაპმა ბოლოსდაბოლოს გამარჯვება მოუტანა რბოლის ფავორიტს ჟ. ანკეტილს. 239 კილომეტრი ბრიანონიდან მონაკომდე სპორტსმენმა ყველაზე უკეთ გაიარა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ტ. სიმპსენი (ინგლისი), ჟ. დესმე (ბელგია), ა. ფუშე, რ. პულიდორი (ორივენი — საფრანგეთიდან), ვ. ადორნი, ვ. ბაბინი (ორივენი — იტალიიდან).

IX ეტაპის ჯამში რბოლას ლიდერობს ფრანგი ჟ. გრუსარი.

ოლიმპიადა

ოლიმპიის კიდევ ერთი მსხვერპლი

ამერიკელმა სპორტსმენმა, 29 წლის ბრიტ სალივანმა ამას წინათ გადაუცურა ატლანტიის ოკეანე გადაეცურა ევროპამდე. ცდა ტრაგიკულად დამთავრდა. ერთ დღეზე ნაკლები ცურვის შემდეგ იგი უკვალოდ ჩაყლაპა ოკეანემ.

ყოველი 18 მილის შემდეგ იგი ისვენებდა პატარა იახტაზე. უცბად ოკეანის ერთ ადგილას მას დაედევნა ზვიგენთა ხროვა და ძლივს მოასწრო იახტაზე ასვლა. მალე მან განაგრძო ცურვა. იახტა რამდენიმე ასეული მეტრით წინ წავიდა და სპორტსმენს დაელოდა. მაგრამ სალივანი აღარ გამოჩენილა.

აშშ-ს სანაპირო დაცვის ორდღიანმა ძებნამ შედეგი არ გამოიღო.

სალივანს 7 თვის გოგონა დარჩა.



◆ **მილანი, 1 ივლისი.** ლაგო-მაჯორეს ტბაზე დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება წყალქვეშა სპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ 14 ქვეყნის, მათ შორის საფრანგეთის, შვეიცარიის, იტალიის, საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელმწიფოების სპორტსმენები. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა: მათ გარდა იმისა, რომ მოიპოვეს მთავარი პრიზი — ჟურნალისტ ბრუნო როგის სახელობის თასი, დაეუფლნენ აგრეთვე სამ თასსა და ოქროს 4 მედალს. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს იტალიის გუნდებმა.

◆ **რომი. 1 ივლისი.** შაშში მსოფლიო პირველობის დამთავრებამდე დარჩა 2 ტური. მე-15 ტურში შჩოგოლევმა მოუგო ლანგრასს, კუპერმანმა — ანგლიარდის, ბაბა სიმ — კაზემირს. შჩოგოლევს — 12, კუპერმანს — 11, ხოლო ბაბა სის — 10 ქულა აქვთ.

◆ **მოსკოვი.** აქ ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოჭადრაკეთა ერთვნული ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც არიან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პედაგოგები. ჩინელებმა გამართეს ორი მატჩი (ხუთ დაფაზე) მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან სტუმრებმა მიაღწიეს ფრეს (2,5:2,5), ხოლო მოსკოვის საავტომობილო ქარხნის გუნდთან დამარცხდნენ — 0,5:4,5.

ჩვენი კონტინენტის გოლიათები

ევროპის 1964 წლის ჩემპიონები ძალოსნოგაში



ი. ვლასოვი (სსრ კავშირი)



ვ. მარზაგულოვი (სსრკ)

ე. კაცურა (სსრკ)



ვ. კაპლუნოვი (სსრკ)

ვ. კურენცოვი (სსრკ)

ვ. ტოტი (უნგრეთი)

ვ. გოლოვანოვი (სსრკ)

მათი დასაყრდენია აქტივი

როცა თელავში მოწინავე ფიზკულტურულ კოლექტივებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, პირველ რიგში აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკას ასახელებენ. აქაურმა ფიზკულტურელებმა ეს აღიარება ენერგიული შრომით დაიმსახურეს. მეთოდისტი ა. თარხანოვი მიხვდა, რომ ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები და გარს შემოიკრიბა მასობრივი მუშაობის აქტივისტები.

დახმარების ხელი მეთოდისტს პირველმა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. გელაშვილმა გაუწოდა. კარგმა მოჭადრაკემ ამ სახეობის მოყვარულთა დარაზმვა ითავა და მალე ისეთი ათკაციანი ჯგუფი შექმნა, რომელიც ტოლს არავის უდებდა რაიონში. კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ლეილა დვალმა თელავის ნაკრებშიც კი დაიმკვიდრა ადგილი.

პარტორგის მაგალითს მიბაძა ძაფსახვევი საამქროს ოსტატმა ო. ჯაფარიძემაც. იგი ფრენბურთელებს ჩაუდგა სათავეში. მაგიდის ჩოგბურთელებზე ზრუნვა ფიზსაბჭოს თავმჯდომარემ, მასალის საწყობის გამგე ფ. მაისურაძემ იკისრა. ფეხბურთელებმა არჩევანი ზეინკალ ა. ლუარსაბოვზე შეაჩერეს. საქმიანობა გაჩაღდა. ოთხივე სახეობის სპორტსმენთა შორის გაიმართა თავისებური შიდასაფაბრიკო შეჯიბრება — ვინ მეტ ორგანიზებულობას გამოიჩენდა, ვინ უკეთესად დაიცავდა კოლექტივის ღირსებას სამატჩო შეხვედრებსა და თელავის პირველობებში.

ცხადია, ყველას ერთნაირად არ გაუღიმა ბედმა — „განთიადის“ ზონალურ სპარტაკიადაზე სხვადასხვა მაჩვენებლებით გამოვიდნენ, სამაგიეროდ, არც ერთი არ გაცილებია საპრიზო ადგილებს, კომპლექსურ ჩათვლაში კი აბა რას გახდებოდნენ მხოლოდ ოთხი სახეობით.

ფაბრიკაში მძლეოსნობის, ძალოსნობის, კალათბურთის, სროლის მოყვარულნიც იყვნენ, მათი დამრაზმავნი, საქმის ასე თუ ისე მცოდნენი კი არ ჩანდნენ. მაშინ დახმარება გარედან მოვიდა, — საშუალო სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლებმა ი. კვეზერელმა და რ. საამოვმა უსასყიდლო წვრთნა აღუთქვეს მძლეოსნებსა და ძალოსნებს. „მფარველები“ გამოუჩნდნენ კალათბურთისა და სროლის მოყვარულებსაც და ახლა ათასიანი კოლექტივი ნამდვილად იმსახურებს ქებას.

არავის ახსოვს თელაველ მეაბრეშუმეებს „განთიადის“ კოლექტივების ტურნირებსა თუ სპარტაკიადებში უკანასკნელ წლებში ვინმესთვის დაეთმოთ პირველობა, და რაც უფრო მისასალმებელია, ისინი არ ივიწყებენ მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს. კარგა ხანია დაინერგა საწარმოო ტანვარჯიში, მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა ტურიზმმა. არ ავიწყდებათ რეზერვზე ზრუნვაც. მარქაფის გამოვლენის საუკეთესო საშუალება კი შიდასაფაბრიკო შეჯიბრებანია, სადაც ყველა თანამშრომელს უფლება აქვს ძალები სცადოს სხვადასხვა სახეობაში.

აქ ჰყავთ საკუთარი ჩემპიონებიც. გასული წლის საფაბრიკო სპარტაკიადაში მექანიკურისა და ძაფსახვევის ფიზკულტურელები ყველაზე უკეთესად გამოვიდნენ პროგრამის შვიდი სახეობის ჯამში. შრომაში მოპოვებულ წარმატებებს სწორედ სპორტს უმადლიან მესამეთანრიგოსანი ფრენბურთელი, ძაფის ამომღები, კომუნისტური შრომის მოწინავე მზია ყარაულაშვილი, ძაფსახვევი საამქროს ქვეოსტატი, ფრენბურთელი ო. ჯაფარიძე, მეორეთანრიგოსანი ძალოსანი გ. მარტირუზოვი, მძლეოსანი საგრეხი საამქროდან ჯულიეტა ბადრიშვილი და სხვ. ისინი ყოველთვიურ საწარმოო დავალებას გადაჭარბებით ანაღდებენ.

დიდია ფაბრიკის პერსპექტივა. მალე მწყობრში ჩადგება ახალი საამქროები, ორმაგად გაიზრდება მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა. ახალ შევსებაში ბევრი იქნება ფიზკულტურისა და სპორტის მოტრფიალეც. ეს კი უფრო განამტკიცებს ფიზკულტურულ ორგანიზაციას, აამაღლებს კოლექტივის მაჩვენებლებს.

მაგრამ თვალს ნუ დავხუჭავთ ნაკლოვანებებზე. ფაბრიკის რეკონსტრუქციამ იმსხვერპლა სპორტული ბაზები — ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

— დროებითი მოვლენაა, — გვითხრა ფაბრიკის დირექტორმა შ. ყარაულაშვილმა. — წამობრძანდით! აი, აქ ერთი თვის წინათ მანქანა-დანადგარების საწყობი იყო. სწორედ ბაზების მოსაწყობად გავათავისუფლეთ ეს ადგილი.

კარგია რომ დირექციას დანგრეული ბაზების სანაცვლო არ დავიწყებია, მაგრამ ვერ გვითხრეს ფაბრიკის ახალგაზრდობა როდის მიიღებს ახალ მოედნებს. ბაზების გარეშე კი საეჭვოა, რომ მოწინავე კოლექტივმა შეძლოს წლების განმავლობაში ბრძოლებით შექმნილი ტრადიციის შენარჩუნება.

ო. გელაშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

სურათზე: მძლეოსანი ჯ. ბადრიშვილი თავს დატრიალებს დაზგას.

ფოტო ავტორისა.

მეტი ყურადღება თევზჭერას

ამას წინათ დამთავრებულმა სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს კონფერენციამ თავის დადგენილებაში დიდი ადგილი დაუთმო მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, მათ შორის თევზჭერასაც.

სამრეწველო თევზჭერას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. სპორტულ თევზჭერას კი ორგანიზებული, მასობრივ-გამაჯანსაღებელი ხასიათი ეძლევა ფიზკულტურის კოლექტივებში. შეიძლება დავასახელოთ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები, სადაც მაღალია სპორტული თევზჭერის მასობრივობა („განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭო, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი და ელმავალმშენებელი ქარხნები) და სხვ.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები ჯერ კიდევ ვერ დაძრულან მკვდარი წერტილიდან თევზჭერის ფართოდ დასანერგავად. თევზჭერის მოყვარული კი საკმაოდ ბევრია. ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლა ფართოდ წარმოებს, ხოლო თევზჭერის მოყვარულთა წასახალისებლად არ იყენებენ ისეთ ქმედით საშუალებას, როგორიც არის საკავშირო პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული „თევზმჭერ-სპორტსმენის“ სამკერდე ნიშნის მინიჭება. ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თევზჭერის მასობრივ განვითარებას, სპეციალური ცოდნის მინიმუმის გავრცელებას სპორტსმენ-თევზმჭერთა შორის.

გ. ჩხიკვაძე,
პროფკავშირების საბჭოს ფიზკულტურული სექტორის გამგე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ — ᲡᲢᲐᲠᲢᲒᲔ

სახანძრო-გამოყენებითი სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში. ამის ნათელი დამადასტურებელი იყო მაყურებელთა დიდი ინტერესი შეხანძრეთა რესპუბლიკური შეჯიბრებისადმი, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა ქ. თბილისში. ტურნირში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 13 კოლექტივი. გუნდები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად.

ბრძოლა პროგრამის ყველა სახეობაში დაძაბული გამოდგა. 100-მეტრიანი დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა თბილისელმა პ. ვლასოვმა (21,8), რომელმაც უკან ჩამოიტოვა საქართველოს რეკორდსმენი ამ დისტანციაზე მახარაძელი გ. ქათამაძე. განცდილი მარცხის შემდეგ მახარაძელმა იერიში მიიტანა საკუთარ რეკორდზე და მიზანს მიაღწია (20,6 წამი). ახალი რესპუბლიკური რეკორდი ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია საბჭოთა კავშირში. თბილისის გუნდის წევრი ა. ჭაბუკიანი საქართველოს ჩემპიონი გახდა ორჭიდში (39,9) და საიერიშო კიბით სასწავლო კოშკურის IV სართულზე ასვლაში (17,7), გასაშლელი კიბის მესამე სართულზე დამაგრება ყველაზე ადრე დაამთავრა ვ. პეტროსიანმა (თბილისი). მისი დროა 15,9 წამი.

სამდღიანი ბრძოლების შედეგად I ჯგუფში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა თბილისის გუნდმა (მწვრთნელი ო. ჭაბუკიანი), მეორე ადგილზეა აჭარის კოლექტივი, მესამეზე — ქუთაისი.

II ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: მახარაძე, ცხკაია, ტყიბული.

ვ. თამლიანი



სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ ᲐᲪᲓᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ

თბილისში დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის. მონაწილეობდა 14 რაიონის ნაკრები გუნდი და უძლიერესი სასკოლო კოლექტივები.

ნაკრებ გუნდებს შორის კარგად გამოვიდნენ დუშეთის სპორტსმენები, რომლებმაც 6.246 ქულა დააგროვეს. 4.887 ქულით მეორე ადგილზე არიან ახმეტის რაიონის წარმომადგენლები, ხოლო მესამეზე—გულრიფშელი მოსწავლეები—4.263 ქულა.

სკოლებს შორის საუკეთესონი იყვნენ დუშეთის რაიონის სოფელ ანანურის. გარდაბნის რაიონის ახალი სამგორისა და ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები, რომლებმაც ამავე თანმიმდევრობით გაინაწილეს საპრიზო ადგილები.

შეჯიბრებაზე ნაჩვენები იყო რამდენიმე კარგი შედეგი. ასე მაგალითად, უმცროსი ასაკის გოგონებს შორის 60 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებულმა ქობულეთელმა მ. ელბაქიძემ მოზრდილთა III თანრიგის შედეგები აჩვენა. კარგი მაჩვენებლებით აღინიშნა სამაღლეზე მხტომელ უფროსი ასაკის გოგონებისა და ჭაბუკების—ი. ცერცვაძის, ე. ასანიძის, ლ. ტუგულაშვილის, ნ. ლაფაჩიშვილის, ტ. მახარაძის, ლ. მაღნარაძის, ს. ლომინაძისა და ზოგიერთ სხვა სპორტსმენთა გამოსვლები.

ამით დავამთავრებდით შეჯიბრების ანგარიშს, რომ ერთი „მაგრამ“ უსიამოვნოდ არ გაჩხირულიყო საერთოდ კარგად ჩატარებულ ასპარეზობაში. საქმე იმაშია, რომ მახარაძის რაიონის ცხემლისხიდის საშუალო სკოლის მოსწავლე ილია სალუქვაძე უუმბარის მტყორცნელთა ასპარეზობაში გამოდიოდა და წინასწარი შეჯიბრების შემდეგ ფინალურ ექვსეულში გავიდა. აქ მას საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის კარგი შანსები ჰქონდა, მაგრამ... მოულოდნელად უარი თქვა შეჯიბრების გაგრძელებაზე. „საიდუმლოს“ მაშინ ეუხადა ფარდა, როცა უმცროსი ასაკის მძლეოსანთა შეჯიბრებაზე იმავე სკოლის მოსწავლე ვახტანგ ბორჩხაძის ნაცვლად, უუმბარის სატყორცნელად გამოვიდა... ილია სალუქვაძე. მსაჯთა კოლეგიამ სამართლიანად მოხსნა ორივე მოსწავლე ასპარეზობიდან. საკითხავია, რა უნდა ასწავლოს ფიზაღზრდის მასწავლებელმა გივი გვარჯალაძემ მოსწავლეებს, როცა ჭაბუკობიდან-ვე უხერგავს მავნე და საბჭოთა სპორტისათვის უცხო თვისებებს.

ა. ცეხანელი

სად არის სიმართლე?

ეს მოხდა სტუდენტთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე. კლასიკურ ჭიდაობაში მსმე წონის სპორტსმენთა შორის პირველობისთვის 6 მოჭიდავე იბრძოდა. შეჯიბრება ჩატარდა ნორმალურად, ყოველგვარი ექცესების გარეშე. და სწორედ მაშინ, როდესაც თითქოს ყველაფერი დამთავრებული და გარკვეული იყო, მოულოდნელად თავი იჩინა ერთმა უხერხულობამ, რომელიც შემდეგში მწვრთნელთა და მსაჯთა მსჯელობის საგანი გახდა.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ პირველი ადგილისთვის ბრძოლის საბოლოო შედეგმა (სწორედ ეს იყო აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი) არც ერთი დაინტერესებული მხარე (უნივერსიტეტი ერთის მხრივ, პოლიტექნიკური ინსტიტუტი მეორეს მხრივ) არ დააზარალა, რადგან შედეგს გუნდური ჩათვლისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დავა წარმოიშვა უბრალოდ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. მართლაც, საჭიროა საბოლოოდ დადგინდეს სიმართლე, რათა შემდგომში მსგავსი უხერხულობა თავიდან აიცილოთ.

მაშ ასე. ერთ მხარესაა დ. ბუღაძე (უნივერსიტეტი), ხოლო მეორე მხარეს ა. ხაბეიშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). როგორი მაჩვენებლებით დაამთავრეს მათ ტურნირი? პირველ წრეში მეტოქეები ერთმანეთს შეხვდნენ და ორივეს დამარცხება (3 საჯარიმო ქულით) ჩაეთვალა. მეორე წრეში ბუღაძემ ფრედ დაამთავრა ბრძოლა გ. მელქაძესთან (სპი), ხაბეიშვილმა კი წმინდად დაამარცხა (8 წუთში) ქუთაისელი მ. ქემერთელიძე. მესამე წრე — ორივე მოწინააღმდეგე წმინდა გამარჯვებას აღწევს: ბუღაძე — ბათუმელ ნ. კახიძესთან (2,45 წ.). ხაბეიშვილი — მელქაძესთან (3,45 წ.). პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი ამით ამთავრებს ტურნირს. ბუღაძე — მეოთხე წრეში ისვენებს, მეხუთეში კი წმინდად ამარცხებს ქემერთელიძეს (2,35 წ.).

როგორც ხედავთ, ბუღაძემ ჩაატარა ოთხი შეხვედრა (ერთი წაგება, ერთი ფრე, ორი მოგება), ხაბეიშვილმა კი სამი (ერთი წაგება, ორი გამარჯვება). პირველმა სულ 5 საჯარიმო ქულა დააგროვა, მეორემ სამი. საკითხი თითქოს გარკვეული უნდა იყოს ხაბეიშვილის სასარგებლოდ, მაგრამ ჩემპიონატის დებულების თანახმად ტურნირი ჩატარდა ფინალებით, სადაც ზემოჩამოთვლილი ორი სპორტსმენის გარდა ქემერთელიძეც მოხვდა. და რადგან ფინალში წინასწარი შეხვედრების შედეგები იხსნება, ბუღაძესაც და ხაბეიშვილსაც 3-3 საჯარიმო ქულა დარჩათ. ბუღაძემ ქემერთელიძე 2,35 წუთში დაამარცხა, ხაბეიშვილმა კი — 8 წუთში (როგორც ადრე ვთქვით ურთიერთშეხვედრაში ორივეს დამარცხება მიეცა). აღნიშნულ სიტუაციაში უპირატესობა უნივერსიტეტელის მხარეზე უნდა იყოს. (ყოველ შემთხვევაში, შთაბეჭდილება ასეთი რჩება).

მსაჯთა კოლეგიამ პირველი ადგილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრს ა. ხაბეიშვილს მიაკუთვნა. ჩვენ არ ვართ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი, მაგრამ გვაინტერესებს რამდენად სწორია იგი?

გ. კეკელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინალის საგზურები

თბილისში დამთავრდა საქართველოს პირადი პირველობა კრივში ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდნენ რუსთავის, ქუთაისის, ცხინვალის, ფოთის, მახარაძის, სოხუმის, ბათუმისა და თბილისის წარმომადგენლები. ტურნირის მიზანი იყო გამოვლინა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე 10 უძლიერესი მოკრივე. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ გასულ წლებთან შედარებით რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში გაიზარდა ნორჩ მოკრივეთა ტექნიკური ოსტატობა.

პირველ რიგში მისასალმებელია მახარაძის ჭაბუკ მოკრივეთა (მწვრთნელი ვ. შავიშვილი) გამოჩენა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე. მართალია, ამ გუნდის 9 მონაწილიდან მხოლოდ ერთმა დაიკავა სპრინზო ადგილი, მაგრამ მათი ტურნირში მონაწილეობის ფაქტი უდაოდ მისასალმებელია. ეჭვს გარეშეა, რომ მონდომებული და მზარდი კოლექტივი სერიოზული მხარდაჭერის შედეგად კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს. დამაკმაყოფილებელი იყო ფოთის „შრომითი რეზერვების" და ბავშვთა სპორტსკოლის მოკრივეთა გამოსვლები (მწვრთნელები ლ. თავაძე და ი. ლაღიძე). მათ საკუთარ ქალაქში ორი პირველი ადგილი ჩაიტანეს (ვ. უჩანეიშვილი და ვ. კოჩედიკოვი). აღსანიშნავია ცხინვალელი ა. ვალიევის მიღწევაც, რომელმაც მეორე სპრინზო ადგილი დაიკავა და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში მონაწილეობის უფლება მიიღო.

გაცილებით მეტს მოველოდით სოხუმის გუნდისაგან. აქ, როგორც ცნობილია, არსებობს ჭაბუკ მოკრივეთა სპეციალიზირებული სკოლა. სამწუხაროდ, სკოლის დამაკმაყოფილებელი მუშაობის ნაყოფი ჯერჯერობით არ ჩანს. იგივეს თქმა შეიძლება ბათუმელ მოკრივეებზეც.

ვერავითარ კრიტიკას ვერ იტანს ქუთაისის ჭაბუკ მოკრივეთა დღევანდელი სახე. აღნიშნული ქალაქის სპორტსმენები ყოველთვის ფავორიტთა რიგებში იმყოფებოდნენ. მიმდინარე ჩემპიონატში კი ვერც ერთი მათგანი ვერ გავიდა ფინალში.

ქვემოდ მოგვყავს ჩემპიონთა სია (წონითი კატეგორიების მიხედვით): ა. ნაგიევი, ნ. არუთინოვი (ორივენი — თბილისიდან), ვ. უჩანეიშვილი (ფოთი), ს. ჩიქოვანი, ვ. თამილოვი, შ. ფაროიანი, ვ. მოლდოვანოვი, დ. ხაჩატუროვი, ს. გოცული (ყველანი — თბილისიდან), ვ. კოჩედიკოვი (ფოთი).

ე. ჟელბაჭიანი

* * *

სურათზე: მსუბუქი წონის მოკრივეების — ს. ჩიქოვანის (მარცხნივ) და ზ. გუნიას შეხვედრის მომენტი. ეს იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლამაზი და ტექნიკური ბრძოლა. ქულებით გაიმარჯვა ს. ჩიქოვანმა.

ფოტო ვ. ნადარეიშვილისა.



პირველად ოსტატთა პროგრამით

„შეჯიბრება დროული იყო. იგი კარგ რეპეტიციას წარმოადგენდა საკავშირო შეჯიბრების წინ, რომელიც გომელში გაიმართება 14—20 ივლისს. მან საშუალება მოგვცა შეგვემოწმებინა ჩვენი ბიჭები, გამოგვევლინებინა წარმატებები და ნაკლოვანებანი", — ასეთი შეფასება მისცა რესპუბლიკურ პირადულ პირველობას აკრობატიკაში გოგონათა და ჭაბუკთა შორის საქართველოს აკრობატიკის ფედერაციის თავჯდომარემ ო. კაკიაშვილმა.

გასულ წლებთან შედარებით ასპარეზობაში სპორტსმენთა მეტი რაოდენობა მონაწილეობდა. გაიზარდა მასშტაბებიც — პირველად გამოჩნდნენ ოსტატთა პროგრამაში მოვარჯიშე გოგონები და ჭაბუკები. გამოჩნდნენ ოთხეულებიც: თბილისისა და რუსთავის ჭაბუკ სპორტსმენთა გამოსვლა ამ მხრივ მეტად სასიამოვნო სიურპრიზს წარმოადგენდა. შეჯიბრებამ გამოავლინა ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენი, რომელთაგან დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები 12 ჭაბუკისა და 3 გოგონას შემადგენლობით.

სამწუხაროდ, პირველობას ახლდა ნაკლოვანებებიც.

გასული წლების შეჯიბრებებზე თბილისიდან ორი გუნდი მონაწილეობდა, ახლა კი გამოდიოდა მხოლოდ ერთი. სრულად არ იყო დაკომპლექტებული ბათუმელთა კოლექტივი, რომელმაც ვერ წარმოადგინა სამეულები და მხტომელი გოგონები. აფხაზეთის გუნდის მწვრთნელის გ. ქირიას გულგრილობამ შეჯიბრებისადმი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს გუნდი მხოლოდ სამი გოგონათი წარმოსდგა რესპუბლიკურ ასპარეზობაზე, მიიღო 0 ქულა და ბოლო ადგილიც „გაინაღდა". და ეს მაშინ, როცა სწორედ ამ გუნდის წევრმა ვალენტინა ანტონოვამ დაიკავა პირველი ადგილი ოსტატთა შორის. ვიმედოვნებთ, რომ აფხაზეთის სპორტკავშირი აქედან სათანადო დასკვნებს გამოიტანს.

ჭაბუკთა შორის, რომლებიც ოსტატების პროგრამით გამოდიოდნენ, გაიმარჯვა ი. კრასიკოვმა (რუსთავი).

გოგონათა I თანრიგში (ხტომები) კარგად გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები ლ. გაბელია, გ. ჭელიძე და ბათუმელი მ. აბელიანი. მათ ამავე თანმიმდევრობით გაინაწილეს სპრინზო ადგილებიც. უმცროს ასაკში პირველობა არავის დაუთმო რუსთაველმა ლ. ბალახოვამ. ჭაბუკთა I თანრიგში დამაჯერებლად ასრულებდა რთულ ვარჯიშებს ს. პანკინი (თბილისი), რომელიც მიუწვდომელი აღმოჩნდა მეტოქეთათვის. ხტომებში გაიმარჯვა ა. მიშლაევმა (აჭარა).

საინტერესოდ წარიმართა ძალისმიერ წყვილთა ასპარეზობა. პირველობას ერომანენთს ეცილებოდნენ თბილისის, აჭარისა და რუსთავის წარმომადგენლები. საბოლოოდ გამარჯვება დარჩათ თბილისელებს — პ. მიქიაშვილსა და დ. ონანოვს. თბილისელები პირველნი იყვნენ სამეულთა გამოსვლაშიც (ა. სლივკო, ა. თედეევი, ნ. მახარობლიძე). ოთხეულთა პაექრობაში რუსთავის აკრობატები (გ. გაბარაევი, ა. ნადარეიშვილი, ი. კაზარიანი, ზ. მერაბიშვილი) საუკეთესონი აღმოჩნდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: I — თბილისი 588,4; II — რუსთავი 481,02; III — აჭარა 424,47 ქულა.

ვ. ხანდამიშვილი

ფეხბურთი



გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

„განთიადი" (ბორჯომი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) — 2:3. მსაჯი ვ. შანნაზაროვი (თბილისი).

მატჩის დაწყების წინ წამოვიდა ძლიერი წვიმა, რამაც მნიშვნელოვნად გაძნელა თამაში. მიუხედავად ამისა, ორივე გუნდი მოქმედებდა სრული მონდომებით, სტუმრები ადრეევ დაწინაურდნენ — განთიადელთა კარში გატანილ იქნა 3 „მშრალი" ბურთი. მასპინძლებმა მატჩის დასასრულს შეძლეს 2 სასასუხო ბურთის გატანა, მაგრამ ეს იყო მათი მაქსიმუმი. გაიმარჯვა „მაღაროელმა" — 3:2.

„მეშახტე" (ტყვარჩელი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) — 2:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

შეხვედრა ჩატარდა საინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში. მასპინძლები თამაშობდნენ მოწინააღმდეგეზე უფრო შეწყობილად და აგრესიულად. მათ ყოველ ტაიმში თითო ბურთი გაატანეს „ლოკომოტივის" კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

„ცისკარი" (ცხაკაია) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 1:1. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).

მატჩი დაძაბული გამოდგა. ორივე კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, თუმცა თავდამსხმელები გადამწყვეტ მომენტებში ნერვიულობდნენ და არაზუსტად ამთავრებდნენ იერიშებს. საბოლოოდ მოწინააღმდეგეებმა მშვიდობიანად გაიყვეს თითო ქულა — 1:1.

„გურია" (ლანჩხუთი) — „ენგურჰესი" (ზუგდიდი) — 1:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ლიდერთა მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვითეული მათგანისთვის, შეხვედრამ უპირატესობა ვერ მოუტანა ვერც ერთ გუნდს — 1:1.

„შუქურა" (ქობულეთი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) — 1:2. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).

დასაწყისში საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მასპინძლებს, რომლებმაც ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 1:0. სურათი მინდორზე მთლიანად შეიცვალა შესვენების შემდეგ. 54-ე წუთზე „მეტალურგის" კაპიტანმა ტოგონიძემ გაქვითა ანგარიში, ხოლო მცირე ხანს შემდეგ მისივე დარტყმის შედეგად სტუმრები გავიდნენ წინ — 2:1. მატჩის დასასრულს „შუქურა" განუწყვეტლივ უტევდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ფორვარდებმა ხელიდან გაუშვეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

„დილა" (გორი) — „დინამო" (ქუთაისი) 2:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

მასპინძლებს თავიდანვე შესამჩნევი უპირატესობით მიჰყავდათ თამაში და შესვენებაზე გუნდი წინ იყო — 2:0. სტუმრები მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ მეორე ტაიმში და თამაშმაც გორელთა მხარეს გადაინაცვლა. დინამოელებმა გაქვითეს ერთი გოლი, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩნენ — 1:2.

„მერცხალი" (მახარაძე) — „მეშახტე" (ტყიბული) — 1:1. მსაჯი კ. ლოგინოვი (თბილისი).

მახარაძელებს პირველ ტაიმშივე ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა რეალიზებული. მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლო სალუქვაძემ ანგარიშის გახსნა. შემდგომში სტუმრებმა გაიტანეს საპასუხო გოლი და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 1:1.

„მესხეთი" (ახალციხე) — „სინათლე" (თბილისი) — 3:0. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).

ახალციხის ფეხბურთელებს ჯერ კიდევ შესვენებამდე ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა, თუმცა მას შედეგი არ მოუტანია. „მესხეთმა" მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო თავისი უპირატესობის რეალიზება და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0

ეჯიბრება პრობლემებით

დამთავრდა საქართველოს პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში მოზარდთა შორის. გუნდური პირველობა დიდი უპირატესობით მოიგო თბილისის პირველმა გუნდმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო მხოლოდ სპორტის ოსტატთა პროგრამაში მონაწილე გოგონებით. მეორე ადგილი დაიკავეს ქუთაისის ტანმოვარჯიშეებმა, ხოლო მესამე — თბილისის მეორე გუნდის წარმომადგენლებმა.

დაძაბული იყო ბრძოლა პირადი პირველობისათვის. დასაწყისშივე ლიდერობა ხელთ იგდეს უ. კაკალიამ (სოხუმი), ე. როყვამ (ბათუმი) და თბილისელმა ე. არუთინოვამ. მათ მაჩვენებლებში სხვაობა განისაზღვრებოდა მხოლოდ 0,1 ქულით. შეჯიბრების მეორე დღეს უ. კაკალიამ შეინარჩუნა სალიდერო პოზიცია და ბოლო კიდეც საქართველოს 1964 წლის ჩემპიონი მოზარდთა შორის. საწყენი ჩავარდნა განიცადა ე. როყვამ ბაბთებით სავალდებულო ვარჯიშში. მან მიიღო ძალზე დაბალი შეფასება და გამოეთიშა საპრიზო ადგილისათვის ბრძოლას. მეორე ადგილი წილად ხვდა ე. არუთინოვას, მესამე — ქუთაისელ გ. შალიკიანს.

როგორც ცნობილია, მხატვრული ტანვარჯიში შეტანილია სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის პროგრამაში (1967 წ.) დრო თითქოს ბევრია, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მომეცადინეთა რიცხვის მასობრივი გაზრდა, რის გარეშე წარმოუდგენელია ფიქრი თუნდაც მცირე წარმატებაზე. განა ნორმალური მოვლენაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში სულ ბავშვთა 14 ჯგუფი მოქმედებს, მოზრდილთა შორის კი მხოლოდ სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკში" არის კულტივირებული ეს კარგი სახეობა? განა მიზანშეწონილია ის გარემოება, რომ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიხურა მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფები? ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა სპორტსაზოგადოება „განთიადში", სადაც არ მუშაობენ როგორც მოზარდთა, ისე მოზრდილთა ჯგუფები.

მეტოქეობის გარეშე წარმოუდგენელია სპორტის რომელიც გნებავთ სახეობის განვითარება. სწორედ ამიტომ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ არსებობს კიდევ „დინამო", „სპარტაკი", „ლოკომოტივი", „შრომითი რეზერვები" და ა. შ. სადაც შესაძლებელია დაინერგოს მხატვრული ტანვარჯიში. აუცილებელია ჯგუფების გახსნა რაიონულ სპორტულ სკოლებთანაც.

მნიშვნელოვანი საქმეა კადრების საკითხიც. როგორც მწვრთნელებთან საუბარში გამოირკვა, თვით მეცადინეობის ჩატარების ხარისხი, განსაკუთრებით პერიფერიულ ქალაქებში, დაბალია. ზოგჯერ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა სექციას არ გააჩნია აკომპანიატორი, ხოლო ამის გარეშე მხატვრული ტანვარჯიში შეიძლება შევადაროთ მხოლოდ... ბალეტს უმუსიკოდ. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა სოხუმში, სადაც ადრე არაერთი კარგი სპორტსმენი აღზრდილა. ბათუმის სპორტულ დარბაზში ერთ და იმავე დროს მიმდინარეობს სპორტულ ტანვარჯიშში, აკრობატიკასა და მხატვრულ ტანვარჯიშში მომეცადინეთა წვრთნა. რასაკვირველია, კომენტარები ზედმეტია.

წლების მანძილზე არ ჩატარებულა მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები. ეს კი ამ ეტაპზე გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

ო. ჟორჟია,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: ვარჯიშს ასრულებს ოსტატთა პროგრამაში გამარჯვებული უ. კაკალია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



თასი გათამაშდა

ორი თვე მიმდინარეობდა თბილისის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდებისათვის. ამ მასობრივ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 118 გუნდი.

გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სპორტლუბ „გამარჯვების" (კიროვის სახ. ჩარხსაშენი ქარხანა) გუნდები.

მეორე ტაიმის დასაწყისისთვის „გამარჯვება" წინ იყო ანგარიშით 2:0. გუნდს თითქოს დიდი შანსი ჰქონდა მოეგო საპატიო პრიზი, მაგრამ სტუდენტებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და 90 წუთის შემდეგ ანგარიში უკვე ფრე იყო — 2:2. დამატებით დროში ინსტიტუტის ფეხბურთელებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბური და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 3:2. სტუდენტთა გუნდს (მწვრთნელი კ. მესხი) გადაეცა თასი და სიგელი, ხოლო კიროველებს (საზოგადოებრივი მწვრთნელი, საზეინკლო საამქროს ოსტატი ნაზაროვი) — II ხარისხის დიპლომები.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა თავი აარიდეს ამ მასობრივ შეჯიბრებაში მონაწილეობას.

ა. გოგელი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

დებიუტი ჩინებული იყო

საქართველოს პირველობა კალათბურთში

ბათუმი. (ტელეფონით ჩვენი საკ. კორ.). 30 ივნისს აქ საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს პირველობა კალათბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. საპატიო ტიტულისათვის იბრძვის ქალთა 8 და ვაჟთა ამდენივე კოლექტივი.

... მოედანი და გულშემატკივრები თუ გადამწყვეტი არა, მნიშვნელოვანი ფაქტორია თანაბარ მოწინააღმდეგეთა შეხვედრაში. ამიტომ როცა მოედანზე გამოვიდნენ აპარისა და ქუთაისის ქალათბურთელ ვაჟთა გუნდები, მაყურებელი მატჩის პირველივე წუთიდან გულმოდგინედ უჭერდა მხარს თავის კოლექტივს.

მე-13 წუთამდე შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, შემდეგ კი 5 პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დატოვა ქუთაისელთა ცენტრმა გეგუჩაძემ. ლიდერის გარეშე დარჩენილმა გუნდმა ვერ შეძლო მეტოქისათვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა და დამარცხდა დიდი ანგარიშით — 68:98. უნდა აღინიშნოს აპარელთა გუნდის წევრის შ. მიმიშიცის კარგი თამაში. მისი დებიუტი მოზრდილთა გუნდში ბრწყინვალე იყო — [illegible] კოლექტივს 30 ქულა [illegible] ძინა.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ქალები. სამტრედია—ქუთაისი 31:48, გორი — „ნორჩი დინამოელი“ (თბილისი) 25:41, უნივერსიტეტი (თბილისი) — აფაზაზეთი—67:47, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — [illegible] 67:35, [illegible] — [illegible] 57:[illegible], ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — [illegible] 76:29, უნივერსიტეტი (თბილისი) — აფაზაზეთი 47:33.

ნ. ფოფაზაძე,
ო. მურვანიძე.

სანგრძლივი შესვენების შემდეგ

(დასასრული)

ასე გრძელდებოდა მეორე ტაიმის 35-ე წუთამდე. უკანასკნელ 10 წუთში დინამოელები ოდნავ მოემზენენ. ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს ისინი შეურიგდნენ ფრეს, მაშინ, როცა მოსკოველებმა პირიქით, უფრო გააძლიერეს შეტევები.

მატჩის დრო ამოიწურა, მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს 2 ქულა.

დუბლიორთა მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა — 2:0. თბილისელთა შორის ოთხ ნომრად თამაშობდა გ. ჩოხელი, რომელმაც შეხვედრა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა.

ა. მიხაილოვი

„ა“ ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

(დგომარეობა 2 ივლისისთვის

	თ	მ	ფ	წ		ბ		ქ
„შახტიორი“ (დონეცკი)	11	6	4	1	15—4	=	+11	16
„ტორპედო“ (მოსკოვი)	10	5	3	2	15—9	=	+ 6	13
„დინამო“ (თბილისი)	11	5	3	3	15—10	=	+ 5	13
„დინამო“ (კიევი)	11	4	5	2	12—9	=	+ 3	13
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	10	5	2	3	11—4	=	+ 7	12
ს კ ა (როსტოვი)	10	6	0	4	15—8	=	+ 7	12
„ვოლგა“ (გორკი)	11	3	5	3	7—11	=	— 4	11
„ნეფტჩანიკი“ (ბაკო)	12	3	5	4	8—13	=	— 5	11
„დინამო“ (მინსკი)	9	3	4	2	6—5	=	+ 1	10
ც ს კ ა	9	3	4	2	6—7	=	— 1	10
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	11	4	2	5	6—9	=	— 3	10
„კაირატი“ (ალმა-ატა)	12	3	4	5	11—14	=	— 3	10
„არ. სოვეტოვი“ (ყუიბიშევი)	12	2	6	4	4—10	=	— 6	10
„დინამო“ (მოსკოვი)	8	3	2	3	11—8	=	+ 3	8
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	9	2	2	5	10—12	=	— 2	6
„ტორპედო“ (ქუთაისი)	11	2	2	7	5—18	=	—13	6
„შინიკი“ (იაროსლავლი)	9	1	3	5	6—12	=	—14	5

„ბ“ ჯგუფი

რსფსრ-ს IV ზონა

სოხუმი. 1 ივლისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). დღეს აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივი „დინამო“ შეხვდა მახაჩყალელ თანაკლუბელებს.

მასპინძლებმა ამჯერადაც სუსტად ჩაატარეს შეხვედრა და განიცადეს დამარცხება — 0:2.

ბათუმი. 1 ივლისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). ბაქოს „დინამოს-თან“ გამარჯვების შემდეგ ადგილობრივმა დინამოელებმა საკუთარ მინდორზე მიიღეს გროზნოს „თერგი“.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმელების უპირატესობით მიმდინარეობდა მატჩი, იგი ფრედ დამთავრდა — 0:0.

ფოთი. 1 ივლისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი „კოლხიდისა“ და ბაქოს „დინამოს“ გუნდები. თამაში ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა. იყო მომენტი, როდესაც მასპინძლებს ჰქონდათ გოლის გატანის რეალური შანსი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაზე ანგარიში უცვლელი დარჩა — 0:0.

... ჯგუფი

... ჯგუფი

... ჯგუფი